

**წინადადებები „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით**

წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით, კანონის მე-20 მუხლს უნდა დაემატოს მე-9 პუნქტი, რომლის შესაბამისად, „დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით - მთავრობის განკარგულებით) დასაშვებია ხდებოდეს ენერგეტიკული მნიშვნელობის ობიექტისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ამ ცვლილების მიზეზი არის ის, რომ „დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მასშტაბური ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყოს ცენტრალური ხელისუფლებაც“.

შემოთავაზებული ცვლილების მიზანია, რომ საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდეს მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება დაცულ ლანდშაფტებში ისეთი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაზე, როგორებიცაა ჰიდროელექტროსადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები და ა.შ. მსგავსი პროექტების განხორციელება ასეთი ტიპის ტერიტორიაზე კი, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის დაცული ტერიტორიების კონცეფციასთან და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) პრინციპებთან. უფრო მეტიც, წინააღმდეგობაში მოდის როგორც ამავე, ისე წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტში შეტანილ სხვა პროექტებთან.

დაცული ლანდშაფტი წარმოადგენს დაცული ტერიტორიის ერთ-ერთ კატეგორიას, რომელის შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების V კატეგორიას) („დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ზ“ პუნქტი) და რომელიც იქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის („დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი). შესაბამისად, დაცულ ტერიტორიაზე ნებისმიერი საქმიანობა სწორედ ამ მახასიათებლების შენარჩუნებასა და აღდგენაზე უნდა იქნას ორიენტირებული, ხოლო სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა დაარღვიოს დაცული ტერიტორიის მთლიანობა, მისი ლანდშაფტი, არათავსებადია დაცული ტერიტორიის კონცეფციასთან და შესაბამისად, დაუშვებელია მისი განხორციელება. დაცულ ლანდშაფტში ჰესების და ენერგეტიკასთან დაკავშირებული სხვა მასშტაბური ინფრასტრუქტურის მშენებლობა კი, ვერანაირად ვერ იქნება განხილული როგორც ადგილობრივი ეკოლოგიური სივრცის შენარჩუნებისა და დაცვის ინტერესის მქონე და პირიქით, ზუსტად მსგავსი უხეში ჩარევისგან დაცვის მიზნით იქმნება დაცული ტერიტორიები. ამასთანავე, ამ კანონპროექტის (და საკანონმდებლო პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტების მიხედვით), "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-15 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაცული ლანდშაფტები უნდა იმართებოდეს მუნიციპალიტეტების მიერ. ამრიგად, მუნიციპალიტეტის დაცულ ტერიტორიაზე, რომლის ნაწილიც შესაძლოა კერძო და / ან მუნიციპალურ საკუთრებასაც კი წარმოადგენდეს, შეუძლებელია გადაწყვეტილებას იღებდეს მთავრობა. გადაწყვეტილების მიმღები უნდა იყოს თვითმმართველობა და მისი მოსახლეობა.

ამასთანავე, მთავრობას, როგორც კოლეგიურ ორგანოს, არანაირი ინსტრუმენტი არ გააჩნია ასეთი ტიპის გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი ინსტრუმენტი, არის საყოველთაოდ აღიარებული და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გარემოზე ზემოქმედების შეფასება. შესაბამისად, ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად მასშტაბისა, რომელიც დაიგეგმება დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, უნდა

დაექვემდებაროს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართში ჩამოთვლილი საქმიანობებისათვის დადგენილ პროცედურებს. იგულისხმება, რომ ნებისმიერმა საქმიანობამ (ისეთმაც კი, რომელსაც ეს პროცედურა არ სჭირდება დაცული ტერიტორიის გარეთ - მაგალითად 2 მგვტ-ზე ნაკლები ჰესის მშენებლობა, ინერტული მასალის მოპოვება) უნდა გაიაროს სკრინინგის, პროცედურა და შემდეგ, თუ საჭირო გახდა, სკოპინგისა და გზშ-ს ეტაპები.

შემოთავაზებულ ცვლილებას ორმაგად შემაშფოთებელს ხდის ის გარემოება, რომ კანონპროექტის ავტორს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც თვითონ უნდა იყოს მოწოდებული დაცული ტერიტორიების მსგავსი უბეში ჩარევისგან დაცვისკენ.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კანონპროექტების შემუშავების პროცესში საერთოდ არ მომხდარა ადგილობრივი მოსახლეობის, სხვა დაინტერესებულ პირების - მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების - ჩართვა და მათთან კონსულტაციების გამართვა, (რაც დასტურდება კანონპროექტის განმარტებითი ბარათითაც) მიუხედავად იმისა, რომ მომავალში სწორედ ადგილობრივი თემის მიერ უნდა განხორციელდეს დაცული ლანდშაფტის მართვა.

ვაცნობიერებთ რა, რომ შესაძლოა დაცულ ლანდშაფტში - მისი შექმნის მიზნებიდან, ბუნების დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე - საჭირო გახდეს მცირე ზომის ენერგეტიკული ან სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტის ან საქმიანობის განხორციელება, კანონპროექტის ეს მუხლი წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახით:

## **„2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:**

9. დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ენერგეტიკული მნიშვნელობის ობიექტის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის მშენებლობა არ ეწინააღმდეგება დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზნებს. ნებისმიერი სამშენებლო საქმიანობა დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ მისი დაცვის, აღდგენის, ადგილობრივი მოსახლეობისათვის დასაბუთებული საჭიროების და შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, დაცული ლანდშაფტის ვიზუალური მხარის დაურღვევლად. ყველა აღნიშნული საქმიანობა ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართში ჩამოთვლილი საქმიანობებისათვის დადგენილ პროცედურებს“.

**წინადადებები „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით**

**ზოგადი ხასიათის (პრინციპული) შენიშვნები**

არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია - ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების და ბუნებრივი რესურსების მართვაში ადგილობრივი მოსახლეობის/თემების მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით.

ამავდროულად, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი შეიცავს რიგ ხარვეზებს, რომლებიც ერთის მხრივ ეწინააღმდეგება სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრულ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს (საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ეროვნული სატყეო კონცეფცია“, მთავრობის მიერ დამტკიცებული „ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“ და სხვ.), ხოლო მეორეს მხრივ კანონპროექტის იმ ვერსიას, რომელიც მომზადებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის „SPPA-საქართველო<sup>1</sup>“ ფარგლებში. ექსპერტებმა კანონპროექტის ეს ვერსია მოამზადეს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, შეთანხმებული იყო როგორც თემებთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ისე დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან.

გამოყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, რომელთა შესწორება ძალზე პრინციპულია და უნდა მოხდეს კანონპროექტის პირველი წაკითხვით განხილვისას:

- საჯაროდ განხილულ და ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმებულ კანონპროექტის ვერსიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა არაგვის დაცული ლანდშაფტის მართვაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – დუშეთის მუნიციპალიტეტის როლს, განსაზღვრული იყო არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველი ორგანო - კერძო სამართლის იურიდიული პირი – არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, რომელსაც ქმნიდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე განსაზღვრული იყო ადგილობრივი თემების წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შექმნა. სამწუხაროდ, მთავრობის მიერ პარლამენტში წარმოდგენილ კანონპროექტში ეს პუნქტები ამოღებულია და აუცილებლად უნდა აღდგეს. ეს არის საქართველოს საკანონმდებლო სივრცისთვის ინოვაციური, მაგრამ საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომა, რომელიც ამავდროულად პრიორიტეტულად არის მიჩნეული მთავრობის მიერ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მაისის, N 343 დადგენილება „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“).
- წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიას, გარდა სახელმწიფო ტყის ფონდისა, მართავს დუშეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო არაგვის დაცული ლანდშაფტის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო. ამისათვის სააგენტოს ემატება დაფინანსება და საშტატო ერთეულები. აღნიშნული რეგულირება მიუღებელია, ვინაიდან ის არ შეესაბამება ზოგადად დაცული ლანდშაფტის იდეას, ასევე ეწინააღმდეგება პარლამენტის მიერ დამტკიცებულ „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“ (პრინციპი „ყველა ტყე ადგილობრივია“) და ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმას. მმართველობის ამგვარ ფორმაზე შეთანხმება არ მომხდარა არაგვის დაცული

<sup>1</sup> SPPA-საქართველო“ - დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“, დაფინანსებულია კავკასიაში გერმანიის თანამშრომლობის ბანკის KfW-ს მიერ.

ლანდშაფტის შექმნის მიზნით მომზადებული კვლევის დროს და ეწინააღმდეგება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო განხილვებზე თუ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან შეთანხმებულ ვერსიას.

- დღესდღეობით საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის შემუშავების წესს, სტრუქტურას და დამტკიცების პროცედურებს. საჭიროა გარდამავალ დებულებებში განისაზღვროს ამ მნიშვნელოვანი პრობლემის დარეგულირების საკითხი, რისი აუცილებლობაც განსაზღვრულია სახელმწიფო სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტით - მთავრობის 2014 წლის 13 მაისი, N 343 დადგენილებით „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომელიც შემუშავებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ვალდებულებებიდან გამომდინარე.

შესატანი იქნება ცვლილებები „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში, ვინაიდან „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის მიღებით, სტატუსი ეცვლება ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით“. ამის შედეგად, ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია ძალზე შემცირდება და მის მიერ დაკავებული ტერიტორია ვერ უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, მუხლი 9) და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ ამ კატეგორიის დაცული ტერიტორიისთვის განსაზღვრული მიზნების აღსრულებას. მიზანშეწონილია, რომ ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკისა და ასას აღკვეთილის ნაწილს შეეცვალოს კატეგორია და შეუერთდეს ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას (ის ადგილები, რომლებსაც ტრადიციულად იყენებდნენ ადგილობრივი თემები სახნავ-სათესის, სათიბის, საძოვრების, ხე-ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მოპოვებისათვის, ასევე ხატის ტყეები). საჭიროა ინიცირებული იქნას შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონში „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ და მიღებული იქნას ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური განხილვებისა და შეთანხმების შემდეგ.

### მუხლობრივი შენიშვნები:

- **მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

- პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვა „მართვის“ შეიცვალოს სიტყვით „მმართველობის“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ) დაადგინოს არაგვის დაცული ტერიტორიის მმართველობის სისტემა“.

### ცვლილების განმარტება:

„მმართველობა“ და „მართვა“ სხვადასხვა ცნებაა.

ტერმინი/ცნება „მმართველობა“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მართვა“ (ანუ „მენეჯმენტი“) და მოიცავს ამ უკანასკნელს, ამავდროულად განსაზღვრავს, თუ რომელი ინსტიტუციები ახორციელებენ მენეჯმენტს და რა გზით. დაცული ტერიტორიის მართვა და მმართველობა არ არიან სინონიმები: მართვა (მენეჯმენტი) ეს არის ყოველდღიური საქმიანობა, იმისათვის რომ შესრულდეს საკონსერვაციო ამოცანები, მაშინ როცა

მმართველობა გულისხმობს უფრო მასშტაბურ პროცესს და ინსტიტუციებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება გარემოსთან/კონსერვაციასთან დაკავშირებული მნიშვნელობანი გადაწყვეტილებების მიღება.

- **მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

- კანონპროექტის მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ) უზრუნველყოს არაგვის დაცულ ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით – გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა.

გ) უზრუნველყოს მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა; გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; დაიცვას და შეინარჩუნოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ძეგლები და განაშენიანების ტიპი.

დ) ხელი შეუწყოს რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას“.

**ცვლილების განმარტება:**

რედაქციული (ტერმინოლოგიური) ხასიათის ცვლილებებია.

- **მუხლი 3. არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნა და მისი მიზნები**

- მე-4 პუნქტის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ) ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის ესთეტიკურ ღირებულებებზე და ტურისტულ რესურსებზე რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა“.

**ცვლილების განმარტება:**

რედაქციული ხასიათის ცვლილება.

- **მუხლი 3. არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნა და მისი მიზნები**

- მე-4 პუნქტის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ე) ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებისა და გარემოსდაცვითი საკითხების დაბალანსება ბუნების აქტიური დაცვისა და ტრადიციული საქმიანობების შენარჩუნების გზით“.

**ცვლილების განმარტება:**

რედაქციული (სტილისტური) ხასიათის ცვლილება.

**მუხლი 5. არაგვის დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი**

- მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დაშვებულია:

ა) გარემოს, ისტორიული და კულტურის ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა და აღდგენა;

ბ) სამეცნიერო კვლევა;

გ) ეკოსისტემისა და მის ფარგლებში ბუნებრივად გავრცელებული სახეობების კონსერვაცია და აღდგენა;

დ) რეკრეაციულ-ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობა;

ე) ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, არაგვის დაცული ლანდშაფტის მიმდებარე თემებში შემავალი დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით; ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, მათ შორის, მხოლოდ არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მშენებლობის მიზნით, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსით (ფიქალის ქვა) სარგებლობა; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა რეგულირდება მენეჯმენტის გეგმით, რომელიც მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით;

ვ) ტურიზმის და დაცული ლანდშაფტის განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

ზ) სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

თ) არაგვის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმით დაშვებული სხვა საქმიანობა.

### **ცვლილების განმარტება:**

წარმოდგენილი ცვლილება არის როგორც რედაქციული ხასიათის, ასევე მოიცავს პრინციპული ხასიათის რეკომენდაციებს:

პუნქტი შინაარსობრივად და სტილისტურად გაუმართავია: ერთ აზრად, ერთ უწყვეტ წინადადებაში მოქცეულია დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული ათზე მეტი საქმიანობა, რის გამოც შინაარსი არ აღიქმება. პირველ რიგში, საჭიროა, რომ ის დაიყოს ქვეპუნქტებად. ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებულია სტილისტური და შინაარსობრივი შეცდომა, მაგალითად:

- „დაშვებულია მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა“. ეს ნიშნავს, რომ არ არის დაშვებული არამანიპულაციური კვლევა, რაც აბსურდული დაშვებაა.
- დაგეგმილი დაცული ტერიტორიის ფარგლებში არ არის მხოლოდ ერთი ეკოსისტემა, ხოლო ცხოველები და მცენარეები ბიომრავალფეროვნების მხოლოდ ნაწილია - ამიტომ უკეთესია ეს ორი სიტყვა წაიშალოს და ჩამოყალიბდეს ასე - „ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებული სახეობების კონსერვაცია და აღდგენა“...
- კანონპროექტში აღნიშნულია - „სახელმწიფო საზღვრის დაცვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა“... ეს ფორმულირება ძალიან კურიოზულია, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია არ ემიჯნება სახელმწიფო საზღვრს.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დაშვებულია „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა“. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლითაც ამა თუ იმ საქმიანობას მიენიჭოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამის გამო, ხშირია შემთხვევა, რომ კერძო პირის ფინანსური ინტერესების შესაბამისი ეკონომიკურ პროექტებზე (ჰესები, გადამცემი ხაზები, წიაღის მოპოვება და სხვ.) ნებართვა გაიცემა „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ საბაბით. კანონში ან უნდა აიხსნას, რას ნიშნავს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ან ჩამოთვალოს ისეთი პროექტები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ამ შემთხვევაში - მაგალითად, ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ხაზები, გზების მშენებლობა, წყალმომარაგება. ამასთანავე, თუ „დაცული ტერიტორიის სისტემის შესახებ“ კანონში შევა ის ცვლილება, რომელიც ჩვენ შემოგთავაზეთ და რომელიც განსაზღვრავს, თუ რა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება იქნება შესაძლებელი დაცულ ლანდშაფტში, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტში ამგვარი (უფრო მეტი) დაკონკრეტება საჭირო აღარ არის. შესაბამისად, ეს წინადადება ამოღებული უნდა იქნას.

შემოთავაზებული ცვლილება ხელს შეუწყობს დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, ვინაიდან სავალდებულო იქნება მენეჯმენტის გეგმის მიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით.

- **მუხლი 6.**

- მე-6 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მუხლი 6. არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველობა და უფლებამოსილი ორგანოები“.

**ცვლილების განმარტება:**

როგორც აღვნიშნეთ, მმართველობა და მართვა არ არის სინონიმები, ამ მუხლის შინაარსს შეესაბამება ტერმინი „მმართველობა“.

- **მუხლი 6.**

- მე-2 პუნქტიდან ამოღებული იქნას სიტყვები „ტერიტორიას, გარდა სახელმწიფო ტყის ფონდისა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. არაგვის დაცული ლანდშაფტს სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მართავს დუშეთის მუნიციპალიტეტი, რისთვისაც გამოყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური რესურსი.

- ამოღებული იქნას კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

**ცვლილების განმარტება**

დაცული ლანდშაფტი შედგება სხვადასხვა ტიპის ეკოსისტემისა და ჰაბიტატისგან: ტყე, მდინარე, სუბალპური მაღალბალახეულობა, სუბნივალური და ნივალური სარტყელი, სათიბ-სამოვრები. შეუძლებელია, რომ ერთ ეკოსისტემას მართავდეს დაცული ტერიტორიების სააგენტო, ხოლო სხვებს - დუშეთის მუნიციპალიტეტი. ამასთანავე, ეს ეწინააღმდეგება კანონპროექტის შემუშავების პროცესში ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან (ადგილობრივი თემები, თვითმმართველობები, ექსპერტები, დაცული ტერიტორიების სააგენტოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო) განხილულ და შეთანხმებულ ვერსიას. ამასთანავე, ვითვალისწინებთ რა ტყის სამეურნეო დანიშნულებას და მისი მართვის სპეციფიკას, მიზანშეწონილი იქნება, თუ 2 წლის განმავლობაში ტყეს მართავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო/ან ეროვნული სატყეო სააგენტო. ეს ორწლიანი პერიოდი გამოყენებული იქნება, როგორც გარდამავალი პერიოდი იმისათვის, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი მოემზადოს ტყის მართვის ღონისძიებების დამოუკიდებლად განხორციელებისათვის. აღნიშნული საკითხი უნდა აისახოს კანონპროექტის განმარტებით ბარათში და დაემატოს კანონპროექტს გარდამავალ დებულებებში.

- **მუხლი 6.**

- მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი ხასიათის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები:

„3. არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველი ორგანოა კერძო სამართლის იურიდიული პირი – არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, რომელსაც ქმნის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. არაგვის დაცული ლანდშაფტის მართვაში მონაწილეობს წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო), რომელსაც ქმნის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) წევრთა შემადგენლობა, უფლება-მოვალეობები და სხვა პროცედურული საკითხები განისაზღვრება საბჭოს წესდებით, რომელსაც ამტკიცებს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

## **ცვლილების განმარტება**

დაცული ლანდშაფტის მმართველობის ამ ფორმასთან დაკავშირებით არსებობს შეთახმება ადგილობრივ მოსახლეობას, თემებს, თვითმმართველობას და დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის (გუბერნატორის) ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის.

- **მუხლი 6.**

მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ა) არაგვის დაცული ლანდშაფტის მართვა, დაცვა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა“.

## **ცვლილების განმარტება:**

ცვლილება რედაქციული ხასიათისაა და გამოწვეულია არსებული რედაქციის სტილისტური და შინაარსობრივი გაუმართაობით.

- **მუხლი 6.**

- მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ) არაგვის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, საქართველოს კანონის - „დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის შემუშავების წესის, სტრუქტურისა და დამტკიცების პროცედურების შესახებ“ შესაბამისად“;

დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურა, შინაარსი და შემუშავების წესი განისაზღვრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანებით „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ“. თუმცა ეს ნორმატიული აქტი განსაზღვრავს მხოლოდ საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი დაცული ტერიტორიების კატეგორიების, კერძოდ: სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, ადკვეთილის მენეჯმენტის გეგმების სტრუქტურას, შინაარსს, ამ გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას და პროცესს. რაც შეეხება სხვა დაცულ ტერიტორიებს, რომელსაც შეიძლება მართავდეს ადგილობრივი თვითმმართველობა (ასეთია დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია), ისინი დღეისათვის რეგულირების გარეშეა დარჩენილი.

ამ ხარვეზის შესახებ აღნიშნულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმაშიც (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მაისი, N 343 დადგენილებით „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“), სადაც ნათქვამია, რომ მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საჭიროა დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის გავრცობა IUCN-ის დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და მართვის სახელმძღვანელოების გათვალისწინებით. დადგენილებაში ცალკე არის გამოყოფილი V და VI კატეგორიის დაცული ტერიტორიების მართვის საკითხების დახვეწისა და განხორციელების საჭიროება.

აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტი: მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ნორმატიული აქტის საფუძველზე შემუშავებული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები, ტექნიკური რეგლამენტის სახით მტკიცდება



პრემიერ-მინისტრის დადგენილებით (ანუ ნორმატიული აქტი უფრო დაბალი ლეგიტიმაციის დოკუმენტია, ვიდრე ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე შემუშავებული დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა).

არსებული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ შემუშავდება და დამტკიცდება საერთო წესი, რომელიც ერთიანად გავრცელდება ყველა კატეგორიისა და მმართველობის/მართვის ფორმის მქონე დაცულ ტერიტორიაზე და რომელსაც დაამტკიცებს უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე ორგანო – საქართველოს პარლამენტი. ეს არის ერთადერთი სწორი გამოსავალი, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის ქვეშ მყოფ დაცულ ტერიტორიებზე (დღეის მდგომარეობით ასეთებია: თუშეთის დაცული ლანდშაფტი, ჯავახეთის და ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები, ასევე დაგეგმილი არაგვისა და თრუსოს დაცული ლანდშაფტები) - სწორედ ასეთი კანონით შესაძლოა დადგინდეს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტული კატეგორიის დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაზე.

- **მუხლი 6.**

- მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დ) არაგვის დაცული ლანდშაფტის მდგომარეობის შესახებ რეგულარულად ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება (საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა)“.

- **მუხლი 6.**

- მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ი) თანამშრომლობა დაინტერესებულ საზოგადოებასთან“.

- **მუხლი 6.**

- მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ლ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენა“;

ასეთი რედაქციის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 239-ე მუხლის 4<sup>ა</sup> ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილება, დაემატოს სიტყვები „არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ უფლებამოსილი პირი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4<sup>ა</sup>. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 51<sup>2</sup> და 51<sup>4</sup>-52-ე მუხლებით, 53<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 53<sup>2</sup>, 54-ე, 54<sup>1</sup> და 55<sup>1</sup> მუხლებით, 55<sup>4</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58<sup>1</sup>, 58<sup>3</sup>, მე-60, 60<sup>3</sup>, 61-ე და 63-ე-63<sup>1</sup> მუხლებით, 64<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66<sup>1</sup> და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 72<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე-74-ე, 76-ე და 85<sup>1</sup>-85<sup>5</sup> მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი-მე-9 და მე-13-21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით და 104-ე და 128<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

ასევე შესაძლებელია, რომ წინამდებარე კანონპროექტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ლ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 51<sup>2</sup> და 51<sup>4</sup>-52-ე მუხლებით, 53<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 53<sup>2</sup>, 54-ე, 54<sup>1</sup> და 55<sup>1</sup> მუხლებით, 55<sup>4</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58<sup>1</sup>, 58<sup>3</sup>, მე-60, 60<sup>3</sup>, 61-ე და 63-ე-63<sup>1</sup> მუხლებით, 64<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66<sup>1</sup> და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 72<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე-74-ე, 76-ე და 85<sup>1</sup>-85<sup>3</sup> მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი-მე-9 და მე-13-21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით და 104-ე და 128<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენა.“

### **ცვლილების განმარტება**

წარმოდგენილი სახით კანონპროექტის ეს ჩანაწერი არ არის გამართული შინაარსობრივად / სამართლებრივად.

- **მუხლი 6.**

- მე -5 პუნქტი გადაინომროს მე-7 პუნქტად და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

7. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

- **მუხლი 7. გარდამავალი დებულებანი**

- მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობისა და სასარგებლო წიაღისეულის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები“

### **ცვლილების განმარტება:**

მუხლის სათაური არ შეესაბამება მის შინაარსს.

- **კანონპროექტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 მუხლი**

- **მუხლი 8. გარდამავალი დებულებანი**

1. 2021 წლის 1 ივნისამდე საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონი „დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების წესის შესახებ“.
2. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში არაგვის დაცული ლანდშაფტის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო/ ან ეროვნული სატყეო სააგენტო, დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანოსთან – არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან ერთად.
3. არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის გარე პერიმეტრის საზღვრის დემარკაცია განხორციელდება „დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

სხვა კანონები, რომელშიც უნდა შევიდეს ცვლილება „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის მიღების შედეგად:

#### **საქართველოს კანონი „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შესახებ“ (არსებული რედაქცია)**

#### **მუხლი 4. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მდებარეობა და ფართობი**

6. ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) მოიცავს შემდეგ სოფლებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს:

ა) ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის პერიმეტრის შიგნით არსებულ დასახლებულ პუნქტებს: ანატორი, მუცო, კისტანი, ლეზაისკარი, კალოთანა, ამლა, ჭიმლა, ანდაქი, ქინო, ბინდაურთა, არჭილო, ჩეჩქეთი, შატილი, არდოტი, ღორლუ, კვირიაწმინდა, გურო (საერთო ფართობია 251 ჰექტარი);

ბ) ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის პერიმეტრის გარეთ არსებულ სოფლებს: უკანაფშავი (ჭალახევი), უკანაფშავი (ვაკის სოფელი), ორბეულთა, ხორიელი, ხოშარა, აყნელი, მისახი, ხიტალე, ბაცალიგო, ჩხუბა, უკანაფშავი (ელიაგზა), უკანხადუ, კარწაულთა, აჭე, ხახმატი, ბისო, ატაბე, წინხადუ (ზეისტეჩო), წინხადუ, უსტამალე, კეო, ბარისახო, ბოქწვილო, ჭალისოფელი, ბლო (საერთო ფართობია 30050 ჰექტარი).

## წინადადებები „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

კანონპროექტი „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ იდენტურია ამავე საკანონმდებლო პაკეტში წარდგენილი კანონპროექტისა „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ (შეცვლილია მხოლოდ დასახელებები, კოორდინატები და ფართობი). ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტში დამატებულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. ეს პუნქტი იმეორებს კანონპროექტის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დებულებას, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაცულ ლანდშაფტში შესაძლებელია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტის მშენებლობა. ეს ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის მთელ დანარჩენ კანონპროექტთან, ასევე ზოგადად დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობასა და საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან. გარდა ამისა, კანონპროექტის ამავე პუნქტის თანახმად, თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე „საბაზისო არქიტექტურულ-სამშენებლო და ტექნიკური პარამეტრები და ასაშენებელი ობიექტის რენდერები შეთანხმებული უნდა იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან“. არქიტექტურულ-სამშენებლო და ტექნიკური პარამეტრებისა და ე.წ. „რენდერების“ შეფასება აბსოლუტურად სცილდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფუნქციას და საეჭვოა, რომ ამ უწყების თანამშრომლებს საამისო კომპეტენცია გააჩნდეთ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფუნქცია არის ბიომრავალფეროვნების in-situ კონსერვაცია, ანუ ბუნების დაცვა. ამასთანავე, გაუგებარია, რატომ უნდა შეაფასოს და შეითანხმოს მუნიციპალიტეტის მართული დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურა სახელმწიფო უწყებამ. აღნიშნულის გამო, კანონპროექტიდან ეს მუხლი ამოღებულ უნდა იქნას.

კანონპროექტების მსგავსების გამო, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებული ჩვენი თითქმის ყველა მუხლობრივი შენიშვნა აქტუალურია „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტისთვისაც, ამიტომ ვითხოვთ მათ განხილვასა და გათვალისწინებას.

ამ კანონპროექტის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მისი შემუშავებისას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია ადგილობრივ მოსახლეობასთან, თვითმმართველობასთან, ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ეს ჩანს კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდანაც.

როგორც ცნობილია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ პეტიციით მიმართა საქართველოს პარლამენტს (პეტიციას ხელი მოაწერა 1248 ადამიანმა). პრაქტიკულად მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობა აპროტესტებს დაცული ტერიტორიების მმართველობის გაუმჭვირვალე პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო. ყაზბეგის მოსახლეობისათვის მიუღებელია, რომ დღემდე ხელისუფლება იყენებს დაცული ტერიტორიების მმართველობის ოთხი ძირითადი ფორმიდან (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის - IUCN მიხედვით) მხოლოდ ერთს - მმართველობას ხელისუფლების მიერ (IUCN-ის მიხედვით, მმართველობის ამ ფორმაში მოიაზრება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მმართველობა). ყაზბეგის მთელი მოსახლეობა მოითხოვს, რომ ყაზბეგის ეროვნული პარკი იმართებოდეს საერთაშორისოდ აღიარებული, ყველაზე ძველი და დემოკრატიული ფორმის - მმართველობა ადგილობრივი თემების მიერ - გამოყენებით, ვინაიდან ეს ფორმა ყველაზე მეტად შეესაბამება საქართველოს მთიან რეგიონებს, მათ შორის ხევს. ხაზს ვუსვამთ, რომ მათი ეს მოთხოვნა სამართლიანია და სრულად შეესაბამება

„საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმას“ და ამდენად, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს.

„თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტის ამ სახით მიღება (რომლის მომზადების პროცესში არანაირი კონსულტაცია არ წარმოებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან), როდესაც თრუსოს ლანდშაფტისათვის განსაზღვრულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიუღებელი მმართველობის ფორმა (მმართველობა ხელისუფლების მიერ), ხოლო დაცულ ლანდშაფტში, მთავრობის განკარგულებით, შესაძლებელია მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების განხორციელება, იქნება ამ სიტუაციაში ცეცხლზე ნავთის დასხმა - სამინისტროს/დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ადგილობრივ საზოგადოებას შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ წინადადებით, რომ პლენარულ სესიაზე გატანამდე კანონპროექტში განისაზღვროს მმართველობის ის ფორმები, რომელზედაც შეთანხმდებიან კანონის ავტორი (სამინისტრო) და ადგილობრივი თემი. კონსულტაციებში ჩართული უნდა იყვნენ ამ სფეროს ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები, მათ შორის ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ასევე, შემოვდივართ წინადადებით, რომ კომიტეტმა/პარლამენტმა მიიღოს დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს, რომ უახლოეს პერიოდში შეიქმნება დამოუკიდებელი კანონი „ყაზბეგის დაცული ტერიტორიების შესახებ“, რომლითაც თავიდან დაარსდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა დაცული ტერიტორია (იმავე ფართობში, დემარკაციის შედეგების გათვალისწინებით) და განისაზღვრება მათი მმართველობის ფორმები. ის იურიდიული ტექნიკა, რომლითაც მოხდა ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოება (ცვლილების შეტანა საქართველოს კანონში „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“) ვერ უზრუნველყოფს დაცული ყაზბეგის ეროვნული პარკის მართვას მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად<sup>2</sup>. დღეის მდგომარეობით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული დაცული ტერიტორიები დაარსებული არიან „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით და ახლა განსაზღვრულია კიდევ ერთი კანონის - „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება.

---

<sup>2</sup> „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული იქნა იმ მიზნით, რომ საბჭოთა პერიოდში დაარსებული ყველა დაცული ტერიტორიის სტატუსი დადგენილი ყოფილიყო პარლამენტის მიერ.